პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 274 (13658) | პარასკევი, 2 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

## დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა!

### ცემენტი — გეგმის გადამეტებით

რუსთავი. (საქ. კორ.). შრომითი აღმავლობაა ცემენტის ქარხანაში. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლის პირველი დღეები მეცემენტეებმა შრომითი ვახტის დღეებად გამოაცხადეს, ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და დიდძალ ზეგეგმით პროდუქციას უშვებენ.

შეჯამებულია უკანასკნელი 10 დღის მუშაობის შედეგები. ცემენტის წარმოების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ფიბროლიტისა — 105 პროცენტით. წინა ათ დღესთან შედარებით თითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელი გაუმჯობესებულია 1,5 პროცენტით.

50

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მოამზადა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად და სსრ კავშირის სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შემუშავებული გეგმების პროექტების საფუძველზე.

სახელმწიფო გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულია დარგობრივი პრინციპით მრეწველობის მართვის ორგანიზაციის ახალი წესი და ბევრი საწარმოსა და მრეწველობის ცალკეული დარგების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების დასახული დიდი ღონისძიებანი. პროექტს გულდასმით გაუკეთეს ანალიზი სსრ კავშირის თვითეული სამინისტროსა და უწყების და მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით იმ თვალსაზრისით, თუ ეკონომიურად რამდენად დასაბუთებულია დასახული ღონისძიებანი და რამდენად შეესაბამებიან ისინი მთელი ჩვენი ქვეყნისა და თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარების დარგში დასახულ ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს წარმოდგენილი მასალები და მოიწონეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალისა და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ გადიდებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინაშე დასახულია გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ამოცანები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

გავადიდოთ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა და დავაჩქაროთ ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება;

ფართოდ დავნერგოთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, მოწინავე ტექნოლოგია, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია და გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით მართვის ავტომატიზებული სისტემები;

გავაუმჯობესოთ იმ მასალებისა და მოწყობილობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებსაც მრეწველობა უშვებს, კერძოდ, გავადიდოთ მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმადობა, ეკონომიურობა, საიმედოობა და ხანგამძლეობა, გავზარდოთ ძრავების მოტორესურსი, შევამციროთ მანქანების წონა;

მნიშვნელოვნად გავადიდოთ მიწათმოქმედების პროდუქტების, განსაკუთრებით მარცვლის წარმოება უმთავრესად ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების გზით, კიდევ უფრო გავზარდოთ ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის წარმოება, გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რაციონალურად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მინერალური და სხვა სასუქები;

გავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობის საქმე, შევამციროთ საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადები და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება;

მომჭირნედ ვხარჯოთ ნედლეული, მასალები, სათბობი, თბოენერგია და ელექტროენერგია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში;

რაციონალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის შრომითი რესურსები, დროზე უზრუნველვყოთ ასამუშავებელი ობიექტები მუშახელით, ჩავაბათ წარმოებაში ახალგაზრდობა, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებს, და ახალგაზრდობის რიგებიდან მოვამზადოთ კვალიფიციური მუშები;

კიდევ უფრო გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება უახლესი მოწყობილობისა და პროგრესული ტექნოლოგიის წარმოებაში დანერგვის გზით, შევამციროთ ხელის შრომა, აღმოვფხვრათ სამუშაო დროის დანაკარგები და ფართოდ დავნერგოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

გეგმის პროექტის განხილვისას ყურადღება დაეთმო ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასთან და მისი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

დასახულია დიდი მატერიალური და ფულადი რესურსები მოხმარდეს საბინაო მშენებლობას, სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობას. საბინაო მშენებლობის დასახული გეგმის შესრულება 1967 წელს ახალი სერიოზული ნაბიჯი იქნება მშრომელების ბინებით უზრუნველყოფის საქმეში.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია კონკრეტული დავალებანი, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეულის უკეთ გამოყენებისა და საწარმოო სიმძლავრეთა, განსაკუთრებით იმ საქონლის წარმოების სიმძლავრეთა ამუშავების დაჩქარების გზით, რომელზეც მოთხოვნილება ამჟამად ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება სრულად. კერძოდ, იმ მიზნით, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ქსოვილებზე, ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟზე, ფეხსაცმელზე და მსუბუქი მრეწველობის სხვა ნაწარმზე, დასახულია 1967 წელს დამთავრდეს ბამბეულის, კამვოლ-მაუდისა და აბრეშუმის მთელი რიგი დიდი კომბინატების მშენებლობა, აგრეთვე ამუშავდეს ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო ფაბრიკები, რომლებიც შენდება, და დაიწყოს ახლების მშენებლობა.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროების წინაშე, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ, დასახულია ამოცანა ყოველნაირად გააუმჯობესონ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, გააფართოონ და განაახლონ მისი ასორტიმენტი, ამასთან გაითვალისწინონ მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული აგრეთვე სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზის წინაშე ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და განსაკუთრებით საქარხნო სასადილოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

გეგმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის შემდგომ განვითარებასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

გათვალისწინებულია აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და სამედიცინო მრეწველობის განვითარების ღონისძიებანი. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიეთითა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა აფთიაქები უზრუნველყოფილი იყონ ყველა საჭირო მედიკამენტითა და სხვა სამედიცინო ნაწარმით.

გეგმის პროექტში დასახულია საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემდგომი ზრდა, განსაკუთრებით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. გათვალისწინებულია სოციალისტურ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საჭირო ღონისძიებანი.

გეგმის განხილვის დროს შეეხნენ საზოგადოებრივი წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესებასა და მისი ეფექტიანობის გადიდებასთან დაკავშირებულ ცალკეულ სახალხო-სამეურნეო პრობლემებს და დასახეს ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ცალკეული ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების დაჩქარების მიზნით გადაწყვეტილია, რომ 1967 წლიდან მოყოლებული ასეთი ობიექტები დაფინანსდეს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხით სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში გეგმით დამტკიცებული კაპიტალურ დაბანდებათა წლიურ ასიგნობათა მიუხედავად, ამასთან საჭიროების კვალობაზე ამ ასიგნობათა გადამეტებით გამოეყოთ ბანკის კრედიტები. მხედველობაშია ასეთი პირობებით დაფინანსდეს თვითეული დარგის რამდენიმე ობიექტი.

განხილულია აგრეთვე ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში, მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა დაფინანსებასა და მეცნიერთა კადრების მომზადებას. სამინისტროებს, უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ უზრუნველყონ მეცნიერული კვლევის განვითარება ეკონომიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე და კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, აგრეთვე განავითარონ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი იმ სამუშაოთა შეწყვეტისათვის, რომლებსაც არა აქვთ აქტუალური მნიშვნელობა, მეცნიერული კვლევის გაუმართლებელი დუბლირების ლიკვიდაციისა და არაეფექტიანად მომუშავე სამეცნიერო ორგანიზაციათა გაუქმებისათვის.

აგრეთვე განიხილეს და მოიწონეს სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულებისათვის საჭირო ასიგნობათა გამოყოფა. კერძოდ, 1966 წელთან შედარებით დიდდება ასიგნობანი საბინაო მშენებლობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის დარგის მთელი რიგი ღონისძიებებისათვის.

სახელმწიფო მართვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, საწარმოების, მშენებლობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მართვის აპარატის სტრუქტურის სრულყოფისა და ზედმეტი შტატების ლიკვიდაციისათვის და ამის საფუძველზე შეამცირონ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შენახვის ხარჯები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.



თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში წარმატებით მიმდინარეობს ძაფის გაწყვეტისას საქსოვი მანქანის თვითგამჩერებელი ავტომატის გამოცდა. ეს ხელსაწყო შემუშავებულ იქნა ქუთაისის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში. აღნიშნული სიახლე ჩვენს ფეიქრებს დიდად შეუწყობს ხელს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. სურათზე: ქუთაისის საკონსტრუქტორო ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელი ბორის ჯაფარიძე (მარცხნივ), საქსოვი საამქროს უფროსი ტექნოლოგი ნანა დიაკონიძე და ცვლის უფროსი მერაბ ცინცაძე აკვირდებიან ავტომატის მუშაობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საფრანგეთის პრეზიდენტის მიწვევით

### ა. ნ. კოსიგინი პარიზში ჩავიდა

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ შარლ დე გოლის მიწვევით 1 დეკემბერს მოსკოვიდან პარიზს ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყ. ყურბანოვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ე. თ. ლოგინოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანამგზავრები გააცილეს გ. ი. ვორონოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

პარიზი, 1 დეკემბერი. დღეს 9 დღის ოფიციალურ ვიზიტად პარიზში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ა. ნ. კოსიგინთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყ. ყურბანოვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ე. თ. ლოგინოვი.

ორლის აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი, პრემიერ-მინისტრი ჟორჟ პომპიდუ, საგარეო საქმეთა მინისტრი მორის კუვ დე მიურვილი, შეიარაღებული ძალების მინისტრი პიერ მესმერი და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები საფრანგეთში სსრ კავშირის ელჩის ვ. ა. ზორინის მეთაურობით.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით, ჩამწკრივდა საპატიო ყარაული, და შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ჰიმნები.

აეროდრომზე პრეზიდენტმა დე გოლმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვეს სიტყვები.

ქუხს სალუტის 101 ზალპი. ა. ნ. კოსიგინი და შ. დე გოლი ავტომანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ პარიზში კე დ'ორსეს სასახლეში, სადაც იქნება საბჭოთა მთავრობის მეთაურის რეზიდენცია საფრანგეთის დედაქალაქში მისი ყოფნის დროს. (საქდესი).

### საუზმე საფრანგეთის პრეზიდენტთან

პარიზი, 1 დეკემბერი. (საქდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დღეს თავის რეზიდენციაში, ელისეს სასახლეში საუზმე გაუმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, რომელიც საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინის თანმხლები პირნი, საფრანგეთის მხრივ — პრემიერ-მინისტრი ჟ. პომპიდუ და სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

## გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის ელჩი

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით თბილისში სტუმრად არის თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჰასან ესათ იშიკი, რომელიც 1 დეკემბერს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

გ. დ. ჯავახიშვილსა და ჰასან ესათ იშიკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მიღებას დაესწრო თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში ჩეთინ ორანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებაზე იყვნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ზ. ქიტიაშვილი. (საქდესი).

## ბოლნისელ მეთამბაქოეთა გამარჯვება

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ შეჯიბრებაში შესანიშნავი შრომითი წარმატება მოიპოვეს ბოლნისის რაიონის მეთამბაქოეებმა. მათ ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის წლიური გეგმა. 1 დეკემბრისათვის რაიონმა დაამზადა 660 ტონა თამბაქო გეგმით გათვალისწინებული 640 ტონის ნაცვლად.

კარგი მოსავალი მოპოვებულია შეუპოვარი ბრძოლით, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მისწრაფებით. ცუდ კლიმატურ პირობებს, თამბაქოს კულტურის დაავადებებსა და მავნებლებს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა დაუპირისპირეს მაღალი შრომის ნაყოფიერება, მცენარეთა დროული და კარგი მოვლა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ფახრალოს, სარაჩლოს, იმირასანის, ბალიჭის, ზემო ქოშაქილისის, ქვეშის, აბდალოს, მუშევანის კოლმეურნეობებმა, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ.

სოფელ იმირასანის კოლმეურნეობაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია კოლმეურნე მ. ალიევამ, რომელმაც მისთვის მიჩენილ ნაკვეთის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 60 ცენტნერი თამბაქო — დავალებაზე თითქმის ოთხჯერ მეტი. ამავე კოლმეურნეობის ბრიგადამ კ. ფატულაევის ხელმძღვანელობით ჰექტარზე მოიწია 58 ცენტნერი თამბაქო, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 15,5 ცენტნერი. ფახრალოს კოლმეურნეობაში თავი გამოიჩინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნ. გუსეინოვის ბრიგადამ, რომელმაც ჰექტარზე მოიწია 10,5 ცენტნერით მეტი თამბაქო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ერთიორად გადააჭარბა თამბაქოს მოსავლიანობის დავალებას სოფელ ზემო ქოშაქილისის კოლმეურნეობის წევრის ყ. მამედოვის ბრიგადამ. ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში თავი გამოიჩინა გ. ხეცურიანის განყოფილებამ. მოსავლის ჰექტარობრივმა გამოსავლიანობამ აქ 30 ცენტნერი შეადგინა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს ახალი ვალდებულება — დაამზადონ კიდევ 150 ტონა თამბაქო. (საქდესი).

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომელთაც არ სურთ შეასრულონ კონსტიტუციური მოვალეობა, — პატიოსნად იშრომონ უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაებმებიან საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში ან საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც მათ საცხოვრებელ ქალაქის ან რაიონის ფარგლებშია განლაგებული.

თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სამუშაოზე გაგზავნილი პირი არ შეუდგება მუშაობას ან სამუშაოზე მოწყობის შემდეგ ფაქტიურად თავს არიდებს მუშაობას, მაშინ ამ პირს მილიციის ორგანოების, აგრეთვე საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარდგინებით სახალხო სასამართლოს დადგენილებით შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე ხელფასის 10 პროცენტის დაკავებით.

იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი თავს არიდებენ გამასწორებელ სამუშაოებს, მილიციის ორგანოების წარდგინებით სასამართლოს შეუძლია გამასწორებელი სამუშაოები შეცვალოს თავისუფლების აღკვეთით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლში გათვალისწინებული წესით.

2. იმ პირთა გამოვლინებას, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, და ყველა ამასთან დაკავშირებულ გარემოებათა შემოწმებას აწარმოებენ მილიციის ორგანოები, როგორც მათ განკარგულებაში არსებული მასალების, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე.

შემოწმების დამთავრებისას მილიციის ორგანოები აფრთხილებენ აღნიშნულ პირებს, რომ სამუშაოზე მოეწყონ ერთი თვის ვადაში.

თუ ეს პირნი გაფრთხილების შემდეგაც არ დაიწყებენ მუშაობას, მილიციის ორგანოები მასალებს მათ შესახებ წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, აგრეთვე სახალხო სასამართლოს დადგენილება იმ პირის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას თავს არიდებს და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. იმ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც გაიგზავნებიან ის პირნი, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი მოწყობა სამუშაოზე და აწარმოონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა.

5. კონტროლი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებაზე პარაზიტული ელემენტების სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, ეკისრება მილიციის ორგანოებს.

6. ის პირნი, რომელნიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე გასახლებულ იქნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, უნდა განთავისუფლდნენ გასახლების ადგილიდან და ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლის შესაბამისად აუცილებლად მოწყობილ იქნენ სამუშაოზე ერთი თვის განმავლობაში წინანდელ საცხოვრებელ ადგილას მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1961 წ. № 17, მუხ. 273) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 16 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ შეფარდების წესის თაობაზე“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ამ ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1966 წლის 30 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფ. ი. ა. გიორგბერიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ივანე ალექსის-ძე გიორგბერიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1966 წლის 1 დეკემბერი.

## ლენინგრადის ოლქს — ლენინის ორდენი

ვაჟკაცობისა და გმირობისათვის, რაც ლენინგრადის ოლქის მშრომელებმა გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში ლენინგრადთან დიდი სამამულო ომის დროს, და სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლენინგრადის ოლქი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

## ნოვოროსიისკს ორდენი გადასცეს

ნოვოროსიისკი, 1 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ქალაქის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნოვოროსიისკისათვის პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენის გადაცემას.

ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა—მაღალ დონეზე!

თბილისში სამ დღეს მუშაობდა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების, საოლქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეების თათბირი-სემინარი, რომელიც მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. თათბირ-სემინარი მიეძღვნა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ამაღლების საკითხს.

თათბირმა მოისმინა 14 მოხსენება პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ. კამათში გამოსულმა თათბირის მონაწილეებმა მოიყვანეს საინტერესო ფაქტები, რომლებმაც შეავსო ეს მოხსენებანი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ თათბირ-სემინარის მასალებს.

## ავამაღლოთ პირველადი პარტორგანიზაციების როლი და ბრძოლისუნარიანობა

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ახალი ადამიანის აღზრდისათვის საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

სკკპ XXIII ყრილობამ დასახა ფართო პერსპექტივები, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს პირველადი პარტორგანიზაციების როლი და ბრძოლისუნარიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში, და, მაშასადამე, გაიზარდოს კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ცვლილებებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ შეიტანა, კერძოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სავალდებულო შეცვლის გაუქმებამ, მოგვცა შესაძლებლობა უფრო გონივრულად გადავწყვიტოთ ძირეული რგოლის პარტიულ მუშაკთა კადრების საკითხები, რომელთა საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი პარტიული მუშაობის წარმატება. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებების ანალიზი ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა თვისებრივი შემადგენლობა.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პრაქტიკულ საქმიანობაში უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ პარტიული კადრების იდეურ წრთობასა და საქმიან კვალიფიკაციას. ამ მხრივ სამაგალითოა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად აქ უნარიანად იყენებენ ორგანიზატორული მუშაობის ისეთ შემოწმებულ ფორმას, როგორიცაა საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და პლენუმებზე ცხოვრებით წაყენებული აქტუალური საკითხების განხილვა. მაგალითად, ამ ბოლო დროს განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: კომუნისტების მიერ წესდების მოთხოვნათა შესრულება, პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას, პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავენ იმისათვის, რომ კომუნისტთა ავანგარდული როლი არ შეიზღუდოს ცალკეულ საწარმოთა ფარგლებით. კომუნისტი ვალდებულია მთელი თავისი ქცევით არა მარტო საწარმოში, არამედ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაშიც სამაგალითო იყოს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, დაიცვას კომუნისტური მორალის პრინციპები და ნორმები, ხელი შეუწყოს ცხოვრებაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დამკვიდრებას, ამ მხრივ მისაბაძია კომუნისტთა კრებების მოწყობა საცხოვრებელ ადგილას, რაც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პრაქტიკაში დამკვიდრდა. ასეთი კრებები მიკრორაიონების მოსახლეობას რაზმავენ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოფენ დრომოჭმულ ტრადიციებს, ბავშვთა უზედამხედველობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამკვიდრებისათვის ბრძოლის კარგ პირობებს.

სკკპ XXIII ყრილობამ წამოაყენა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის ახალი გაზრდილი მოთხოვნები.

მართლაც რომ გრანდიოზულია ჩვენი ეკონომიური მშენებლობის მასშტაბი. იგი უფრო გაიზრდება მიმდინარე ხუთწლედში. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების მთელი პოლიტიკური, ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი ეკონომიურ ამოცანათა განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად, საქმიანად განიხილავენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ჭიათურისა და ცხინვალის საქალაქო, ახალციხის, ვანისა და სიღნაღის რაიონული და სხვა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ყურადღების ცენტრშია იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, რომლის მიზანია, რომ სამრეწველო საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულონ საწარმოო გეგმები. პარტიული ორგანიზაციები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გზავნიან კომუნისტებს, რომლებსაც შესწევთ უნარი გაუძღვნენ მშრომელთა მასებს, შენიშნონ და განაზოგადონ ყოველივე ახალი, პროგრესული.

ასე წარმოიშვა ქალაქ ჭიათურისა და სიღნაღის რაიონის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა: მათ მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მშრომელს გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. დღეს ამ მოწოდებას გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესასყიდი ფასების მომატება შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ ორგანიზაციებს. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები თანამიმდევრულად მუშაობენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის, განამტკიცებენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს.

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ჭიათურის პარტიულ ორგანიზაციებში. აქ მსხვილი სამრეწველო საწარმოების კოლექტივები შეფობას უწევენ კოლმეურნეობებს, ეხმარებიან მათ მანქანებითა და ტრაქტორებით, საშენი მასალებით. მუშები კოლმეურნეებთან ერთად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური ობიექტების მშენებლობაში. პრაქტიკაში დამკვიდრდა, რომ კომუნისტი მუშები მონაწილეობენ სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა კრებებში, ხოლო კოლმეურნენი — საწარმოთა პარტიულ კრებებში. ეს ხელს უწყობს მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებას, სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ამოცანის ერთობლივ გადაჭრას.

პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში განხორციელდა საწარმოო ბრიგადების სპეციალიზაცია, უფრო გაბედულად ინერგება კოლმეურნეთა შრომის მატერიალური წახალისების მეთოდები, მოწინავე გამოცდილებისა და აგროტექნიკური მეცნიერების მიღწევები.

ამის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივებმა, რომელთა კეთილშობილურმა შრომამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმის უმნიშვნელოვანესი რგოლია პარტიული ინფორმაციის დაყენების გაუმჯობესება. კარგად დაყენებული პარტიული ინფორმაცია პირდაპირი გზაა იმ პრაქტიკული გამოცდილების განზოგადებისათვის, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა დააგროვეს, ეს არის შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცების, ყველა კომუნისტის აქტივობის გაძლიერების, მთელი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესანიშნავი საშუალება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) პლენუმის შემდეგ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული ინფორმაცია, ახლა თითოეული პარტიული ორგანიზაციის ყოველგვარი დადებითი გამოცდილება ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება. მაგალითად ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის კომუნისტთა თაოსნობას არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლებისა და ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ქობულეთის რაიონის კომუნისტებმა, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა.

შინაპარტიული დემოკრატიის ყოველი ღონისძიებით განვითარება თავის მხრივ ხელს შეუწყობს დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებას პარტიაში, მისი კავშირის გაფართოებას მასებთან, მშრომელთა შორის პარტიის ავტორიტეტის ამაღლებას.

## პარტიაში—მხოლოდ ღირსეულნი!

პარტიის წევრობის საკითხი მუდამ იყო და კვლავ რჩება პარტიული ცხოვრების ძირითად საკითხად, რადგან პარტიის სიმტკიცე, იდეური და ორგანიზაციული წრთობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მის შემადგენლობაზე.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სულ უფრო მაღლდება კომუნისტური პარტიის, როგორც მასების ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პარტიის თითოეულ წევრს წაყენებული აქვს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნები.

კომუნისტთა ცხოვრების კანონში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში — ნათლად არის განსაზღვრული პარტიის წევრის უფლება-მოვალეობანი.

ნაწილობრივ ცვლილებანი, რომლებიც XXIII ყრილობამ შეიტანა სკკპ წესდებაში, მიზნად ისახავენ კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიის წევრის სახელი, გაიზარდოს თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა. ეს კი ბევრ რამეს ავალებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში სულ უფრო ფართოდ ინერგება პარტიული საქმიანობის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ბევრი პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული კომიტეტის გამოცდილება. მაგალითად, რუსთავის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებს ემატებიან მოწინავე მუშები. მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებულია 222 კაცი. მათი დიდი უმრავლესობა მუშები არიან. გაუმჯობესდა ინდივიდუალური შერჩევაც, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი პარტიაში მიღების საკითხის წინასწარი განხილვისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების შტატგარეშე კომისია. ამ კომისიის შემადგენლობაში შედიან წარმოების მოწინავენი, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პერსონალური პენსიონერები, ყოფილი პარტიული მუშაკები და სხვა კომუნისტები, რომლებმაც კარგად იციან პარტიული მუშაობა. განსახილველი საკითხების ოპერატიულად და გულდასმით გაცნობის მიზნით კომისიის წევრები მიმაგრებული არიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე. ისინი ხშირად დადიან საწარმო-დაწესებულებებში, ესწრებიან პარტიულ კრებებს, ხვდებიან კომუნისტებს, ეცნობიან კოლექტივის აზრს იმ პიროვნების შესახებ, ვისი საკითხიც წამოყენებულია განსახილველად.

პარტიაში მიღების საკითხი ახლა გაცილებით სწრაფად და უკეთ გადაიჭრება, ვიდრე წინათ. კომისია თვალს ადევნებს დოკუმენტების სწორად გაფორმებას და მთელ თავის საქმიანობას წარმართავს პარტიის საქალაქო კომიტეტთან მჭიდრო კავშირით. თავის მხრივ, საქალაქო კომიტეტი მუდამ ეხმარება შტატგარეშე კომისიას, მისი წევრებისათვის აწყობს სემინარებს, აცნობს მათ პარტიულ გადაწყვეტილებებს, იწვევს პლენუმებსა და პირველად პარტორგანიზაციათა მდივნების თათბირებზე.

პარტიაში მიღების საკითხის წინასწარი განხილვისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების შტატგარეშე კომისიები წარმატებით მოქმედებენ პარტიის მეტ წილ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში.

პარტიული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას უთმობენ პარტიაში მიღების საკითხს მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის ხარკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ პარტიის რიგების თვისებრივი ზრდისათვის. პარტიის რუსთავის საქალაქო, ბოლნისის რაიონული და სხვა პარტიული კომიტეტები არ არიან დაინტერესებული პარტიის რიგების მხოლოდ რაოდენობრივი ზრდით. მათი საქმიანობის დევიზია: მიიღონ პარტიაში მხოლოდ ღირსეულნი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ახალი მოთხოვნები, რომ 23 წლამდე ახალგაზრდობას პარტიაში იღებდნენ მხოლოდ კომკავშირის მეშვეობით, რომ კომუნისტს უფლება ეძლევა მისცეს რეკომენდაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს ხუთი წლის პარტიული სტაჟი, რომ საჭიროა პარტიაში მისაღებ ამხანაგს ხმა მისცეს პარტიის წევრთა ორმა მესამედმა, დაბრკოლებაა იმათ გზაზე, ვინც სკკპ რიგებში შედის არარსებულ პრივილეგიათა იმედით, და იმათ გზაზე, ვინც არ არის მომზადებული სკკპ წევრის ძნელ მოვალეობათა შესასრულებლად.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ პარტიაში მიღების საქმე ჩვენთან სავსებით რიგზეა. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა პარტიაში იღებენ უღირს ადამიანებს. განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას.

განსაკუთრებით უნდა გადიდდეს პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტ-რეკომენდატორთა პასუხისმგებლობა. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა სასტიკ პასუხს აგებინებენ იმ კომუნისტებს, რომლებმაც რეკომენდაციები მისცეს უღირს ადამიანებს.

რა თქმა უნდა, პარტიაში მიღება ერთ-ერთი მხარეა პარტორგანიზაციის საქმიანობისა, რომელსაც წინ უძღვის დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიაში მიღების შემდეგ არ წყდება მუშაობა ამ წევრთან. ახალგაზრდა კომუნისტებისა და პარტიის წევრობის კანდიდატების აღზრდაც პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა.

რუსთავის, ფოთის, ბოლნისისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში ეწყობა ახალგაზრდა კომუნისტების შეხვედრები პარტიის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან, რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანებთან. კვლავაც უნდა გავამდიდროთ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები.

პარტიის რიგების ზრდის ძირითადი რეზერვია კომკავშირი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წელი) პლენუმის შემდეგ განსაკუთრებით ამაღლდა კომკავშირული ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი. ისინი ახლა უფრო ღრმად სწვდებიან ახალგაზრდობის ცხოვრებას, უკეთ წარმართავენ მათს შემოქმედებით ენერგიას. კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და მათთვის დახმარების გაწევა პარტიული საქმიანობის ერთ-ერთი პასუხსაგები რგოლია.

როგორია ეს დახმარება ჩვენს რესპუბლიკაში?

ავილოთ, მაგალითად, ყვარლის რაიონული პარტიული ორგანიზაცია. აქ შემოქმედებითად იყენებენ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა კომკავშირული მუშაობის ცალკეული საკითხების საქმიანი განხილვა პირველადი პარტორგანიზაციების კრებებსა და ბიუროს სხდომებზე, მუდმივი კონტროლი მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი. პრაქტიკაში დამკვიდრდა აგრეთვე კომკავშირის კომიტეტების ანგარიშები პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე. პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ცალკეული კომუნისტები, მეურნეობათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ესწრებიან კომკავშირულ კრებებს, აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდობის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებაში.

პარტიის რაიკომების ინსტრუქტორები თავიანთი მუშაობის ზონებში პასუხს აგებენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისათვის, ისევე, როგორც პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

მაგრამ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ეს არის უწინარეს ყოვლისა ერთგვარი ფორმალიზმი და არასაკმაო ზრუნვა ახალგაზრდობის კულტურული დასვენებისათვის, რაც შემჩნეულია როგორც ყვარლის რაიონში, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. ახალგაზრდობის აღზრდა ბრძოლასა და შრომაში ჩვენი პარტიის სახელოვანი ტრადიციაა, რომელიც თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას, თითოეულ კომუნისტს უანდერძა დიდმა ლენინმა.

## კადრების შერჩევა, განაწილება, სწავლა

ახლა, როცა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მასშტაბი დიდად გაიზარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და შემდგომი პლენუმების შემდეგ, რომლებმაც გადაჭრით დაგმეს მუშაობის პარტიული სტილის საწინააღმდეგო სუბიექტივიზმი და ადმინისტრირება, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ ყოველნაირად გაუმჯობესდეს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მათი იდეური წრთობის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში განსაკუთრებით ზრუნავენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, რომლებიც პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების უმკაცრესად დაცვის, მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის, საქმისადმი მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომის მაგალითს უნდა გვიჩვენებდნენ.

წარმოების სხვადასხვა უბნის კადრებით განმტკიცების ამოცანის გადაწყვეტისას პარტიული ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების შემადგენლობის გაუმჯობესებას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყოს დიდად განსწავლული, პოლიტიკურად ჩამოყალიბებული კომუნისტი, რომელსაც ექნება ორგანიზატორული თვისებები, ცხოვრების მოვლენების ღრმა გაანალიზებისა და განზოგადების უნარი, ადამიანებთან მუშაობის პრაქტიკა.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანოებმა გამოზარდეს და დააწინაურეს ავტორიტეტიანი, საქმის მცოდნე სამეურნეო ხელმძღვანელთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა დიდი ჯგუფი. ამ მხრივ დადებითი გამოცდილება შეიძინეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომმა და პარტიის გარდაბნის რაიკომმა. აქ გაბედულად აწინაურებენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა, ენერგიულ ადამიანებს, რომლებსაც საწარმოების, დაწესებულებებისა თუ საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებაში შეაქვთ ახალი ენერგია, ხალისი, აღაფრთოვანებენ მშრომელთა მასებს ახალი შემოქმედებითი საქმეების განსახორციელებლად.

მაგრამ ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდი იყენებენ მთელ შესაძლებლობებს, რათა შეასრულონ სახელმწიფო საგეგმო დავალებანი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. ცალკეულ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, ხოისუსტებს საწარმოო და შრომითი დისციპლინა, არ აღმოფხვრილა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების შემთხვევები. პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან იბრძოლონ ამგვარი გამოვლინებების წინააღმდეგ.

კადრების შესწავლის, შერჩევისა და სწორი განაწილების საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მუშაკთა რეზერვი. იგი უშუალოდ დამოკიდებულია პარტიული ორგანოს საქმიანობის სტილსა და მეთოდებზე. თუ პარტიული აპარატის მუშაკი იშვიათად გამოჩნდება ხოლმე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და ამჯობინებს სხდომებისა და თათბირების მოწყობას, მაშინ კადრების რეზერვი მართლაც არ იქნება, შეიძლება იყოს მხოლოდ ფორმალური სიები. ამიტომ პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა თავიანთ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ აპარატის მუშაკთა ყოველდღიურ ურთიერთობას მასებთან, კონტროლს ადგილებზე საქმის ფაქტიური მდგომარეობისადმი, ადამიანების შესწავლას და ამით გამოავლინონ ნიჭიერი ორგანიზატორების რეზერვი.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კადრების სწავლებას. პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები ძირეული პარტიული აქტივის სწავლებაში ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს. ამ ფორმებს მიეკუთვნება კადრების მასობრივი სწავლება საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან შექმნილ სკოლებსა და სემინარებში. ახლა აქ სწავლობს ათიათასობით ძირეული პარტიული მუშაკი. ისინი ეუფლებიან უნარს ერკვეოდნენ პარტიული მშენებლობისა და შინაპარტიული ცხოვრების საკითხებში, ეუფლებიან მეურნეობის ხელმძღვანელობის ლენინურ სტილს, ერთმანეთს უზიარებენ პარტიული მუშაობის გამოცდილებას, სწავლობენ მოწინავე მეურნეობათა და საწარმოთა გამოცდილებას.

აქტივის სწავლებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მათთან პარტიულ მუშაკთა ცოცხალ კავშირს, ადგილზე პრაქტიკული დახმარების გაწევას. ამ საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიული კომიტეტების შტატგარეშე ინსტრუქტორები. მარტო აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში ახლა 200 შტატგარეშე ინსტრუქტორია. ეს ძირითადად გამოცდილი პარტიული მუშაკები არიან, რომლებიც პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნებს, პარტჯგუფორგებს აძლევენ დაწვრილებით პასუხს კითხვებზე, პრაქტიკულ რჩევას, აჩვენებენ თუ როგორ შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, მდივნების მოადგილეების, ბიუროების წევრების, პარტჯგუფორგების სწავლების ორგანიზაციაში დადებითი გამოცდილება აქვს თელავის პარტიულ ორგანიზაციასაც. მათთვის აქ შეიქმნა სკოლები და სემინარები, რომლებზეც იხილავენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, სოფლის კომუნისტთა საზრუნავი და სხვა. ამ სკოლებისა და სემინარების მუშაობის შედეგია ის, რომ რაიონის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში კარგად არის დაყენებული შინაპარტიული მეურნეობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებს ემატება ღირსეული ადამიანები, იზრდება კომუნისტთა ავანგარდული როლი.

საქართველოს პარტიულ ორგანოთა საქმიანობაში კი ბევრია ასეთი მაგალითი.

## შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის ნაცადი მეთოდია

როგორც ცნობილია, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ფაქტიურად მოიცავს პარტიული საქმიანობის ყველა ძირითად მხარეს. თუ პარტიული ორგანიზაცია პრინციპულად იბრძვის პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ეს ნიშნავს, რომ იგი იბრძვის შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრების სწორად შერჩევისა და განაწილებისათვის, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ერთი სიტყვით, შესრულების შემოწმების სათანადოდ დაყენება პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ქვაკუთხედია.

პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წელი) პლენუმის შემდეგ, როცა აღდგენილ იქნა პარტიული მუშაობის ლენინური სტილი. ამ სტილს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებათა და შესრულების ერთიანობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

პარტია გვასწავლის, რომ ყველაზე გააზრებული და დასაბუთებული დადგენილებაც კი, ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაც კი ფარატინა ქაღალდად გადაიქცევა, თუ არ მოჰყვება პრაქტიკული ნაბიჯები, თუ არ ვიზრუნებთ მათი განხორციელებისათვის, სისტემატურად არ გავუწევთ კონტროლს მათს შესრულებას.

პარტიის ბევრმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ გაითვალისწინა ეს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შესრულების შემოწმების საქმე. ყურადღების ღირსია ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება.

მაგალითად, პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი თავის მუშაობაში ითვალისწინებს, რომ დადგენილების შესრულების გარანტია მაშინ ისახება, როცა ამუშავებენ თვით დადგენილებას. ამიტომ აქ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ საკითხის შესწავლასა და ღონისძიებათა სწორად შემუშავებას.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის ერთ-ერთი უბანი ვერ მუშაობდა დამაკმაყოფილებლად. შეიქმნა ამ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების გაჭიანურების საფრთხე, რის გამოც შეიძლებოდა შეწყვეტილიყო ქვანახშირის ამოღება შახტში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა დაწვრილებით შეისწავლა შექმნილი ვითარება. ადგილზე გაიგზავნენ საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკები, სპეციალისტები, შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ ვადებს და პირად პასუხისმგებლობას სამუშაოთა შესრულებისათვის. მოწესრიგდა სამშენებლო ობიექტის მასალებით, მანქანებითა და დანადგარებით დროზე მომარაგების საკითხები, მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები. ამის შემდეგ დადგენილების პროექტი განიხილა და დაამტკიცა საქალაქო კომიტეტის ბიურომ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ერთად. წინასწარ შემოწმებათა საფუძველზე დადგენილებაში დასახელებული იყვნენ კონკრეტული პირნი, რომლებიც პასუხს აგებდნენ მუშაობისათვის. დადგენილების შესრულების შესამოწმებლად საქალაქო კომიტეტის ბიურომ აირჩია სისტემატური კონტროლისა და ადგილზე პრაქტიკული დახმარების ფორმა. ზონის ინსტრუქტორი სულ აცნობდა საქალაქო კომიტეტს, თუ როგორ სრულდებოდა დადგენილება.

შესრულების ასეთმა შემოწმებამ კარგი პრაქტიკული შედეგები მოიტანა.

ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ შესრულების შემოწმება წვრილმანი მეურვეობა როდია, ეს კი არ ამცირებს ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების როლს მათი პირდაპირი ფუნქციების შესრულებაში, არამედ ხიზხავს კონკრეტულ პრაქტიკულ დახმარებას მათდამი.

პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ერთ-ერთი შესანიშნავი ფორმაა იმ კომუნისტთა ანგარიშები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისათვის. ამ ფორმას ხშირად იყენებს თავის საქმიანობაში რესპუბლიკის ბევრი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტი.

გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეში სამტრედიის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ეყრდნობიან ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს.

ყოველნაირად უნდა გავავრცელოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების დადებითი გამოცდილება. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიის მარნეულის რაიკომი, რომელიც თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს პირველად პარტორგანიზაციათა მდივნების სემინარებს, პარტიული აქტივის კრებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობისადმი ხაზგასმულია, რომ „შესრულების კარგად მოგვარებული შემოწმება კადრების სწორი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იგი უნდა წარმოებდეს სისტემატურად, ეხმარებოდეს შეცდომების გამოსწორებას, დასახული ამოცანების უკეთესი, ყველაზე სწორი გადაჭრის გზების გამონახვას".

პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების დროული, უნარიანი ორგანიზაცია ჩვენი ცხოვრებისა და შრომის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოპოვების საუკეთესო გარანტიაა.

## უკეთესად ვუხელმძღვანელოთ ადგილობრივ საბჭოებს

კომუნისტური პარტიის ძალა ხალხთან ერთობაშია. პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია კვლავაც განამტკიცებდეს ურთიერთობას მშრომელ მასებთან, ადიდებდეს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ და შრომით აქტივობას.

სკკპ XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების — ჩვენი ხალხის ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას. ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განუხრელად უმჯობესდებოდეს პარტიული ხელმძღვანელობა მათი მუშაობისადმი, მოითხოვა ბოლომდე აღმოიფხვრას ზოგიერთი პარტიული კომიტეტის წვრილმანი მეურვეობა საბჭოებისადმი. საბჭოების მუშაობის ხელმძღვანელობა, მათი საქმიანობის წარმართვა, და არა მაგივრობის გაწევა, ზრუნვა საბჭოების როლის ამაღლებისათვის, მათი უფლებებისა და უფლებამოსილების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის — ასეთია ამოცანა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბჭოები სულ უფრო აქტიურ გავლენას ახდენენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ერთიანი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აღდგენამ, აგრეთვე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ. ახლა, პარტიული ორგანოები უფრო კონკრეტულად ეხმარებიან საბჭოებს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაში, დაკისრებულ ფუნქციათა მაქსიმალურად განხორციელებაში.

საბჭოების მუშაობის დონე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მათს შემადგენლობაზე. ადგილობრივი საბჭოების უკანასკნელი არჩევნების დროს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი განმარტებითი მუშაობა შეასრულეს მშრომელებში, რათა ღირსეული ადამიანები აერჩიათ ხელისუფლების ორგანოებში.

დეპუტატთა შორის მნიშვნელოვან ფენას შეადგენენ სკკპ წევრები. რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები სისტემატურად უნდა ადევნებდნენ თვალს კომუნისტი დეპუტატების მუშაობას, რომლებიც ამომრჩევლებმა გაგზავნეს სახალხო ხელისუფლების ორგანოებში, ცდილობდნენ, რომ სანიმუშოდ შეასრულონ მათ სახელმწიფო მოვალეობანი, საჭიროების შემთხვევაში იჩენდნენ მათდამი მკაცრ მომთხოვნელობას. ამავე დროს პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ყოველნაირად უჭერდნენ მხარს დეპუტატებს, ზრუნავდნენ ხალხის რჩეულთა ავტორიტეტის ამაღლებისათვის. საჭიროა აგრეთვე რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოს მასებთან დეპუტატთა ურთიერთობის ისეთ ფორმას, როგორიც არის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დონის ამაღლებასთან დაკავშირებულ ყველა ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას უთმობს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი.

შარშან აქ მიიღეს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების განსახორციელებლად საოლქო კომიტეტმა მოაწყო სასოფლო და სადაბო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა და მდივანთა საინსტრუქციო თათბირები, რომლებსაც დაესწრნენ ტერიტორიულ პარტორგანიზაციათა მდივნებიც.

ბევრი რამ გააკეთა საოლქო პარტიულმა [illegible] საბჭოთა [illegible] კადრებით განმტკიცებისათვის. საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეთა პოსტებზე, აგრეთვე საოლქო აღმასკომის აპარატში რეკომენდებული არიან გამოცდილი პარტიული მუშაკები. სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეული არიან ადგილობრივი კადრის მუშაკები, რომლებიც კარგად იცნობენ თავიანთ ამომრჩევლებს და საქმის ვითარებას საბჭოების ტერიტორიაზე.

პარტიული კომიტეტების წინადადებით და მათი ფართო მონაწილეობით ოლქში ყველგან გაიშალა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა სწავლება. მათთვის მოეწყო სემინარები, რომლებზეც მოხსენებანი წაიკითხეს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

მაგრამ ოლქში ჯერ კიდევ ბოლომდე როდი არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა პარტიის რაიონული კომიტეტები ეწევიან რაიაღმასკომების მაგივრობას, და ამით ზღუდავენ საბჭოთა მუშაკების ინიციატივასა და აქტივობას, ამცირებენ მათს პასუხისმგებლობას. სამეურნეო საკითხების განხილვით გაუმართლებელი გატაცება, საბჭოთა ორგანოების ფუნქციათა შესრულების ტენდენციები იყო პარტიის ჯავისა და ლენინგორის რაიკომების პრაქტიკაში.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში დიდი როლი ეკუთვნის აღმასრულებელი კომიტეტების პირველადს პარტორგანიზაციებს, რომლებიც უნდა ზრუნავდნენ აპარატის მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, კონტროლს უწევდნენ მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვას აღმასკომის განყოფილებებში, გადაჭრით ებრძოდნენ საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმს, კანცელარიულობას.

## კარგი გამოცდილება ფართოდ ვრცელდება

პარტიის ძალა ყოველთვის სწორედ ის იყო და არის, რომ მეცნიერულ საფუძველზე წარმართავს რა თავის საშინაო ცხოვრებას, გადაჭრით აღმოფხვრის ყოველივე დრომოჭმულს ხელმძღვანელობის მეთოდებში, მხარს უჭერს ყოველივე სასარგებლოსა და ახალს, რასაც პრაქტიკა წარმოშობს.

როგორც ცნობილია, შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიულ მუშაკთა ორი ჯგუფი იყო მოსკოვსა და ლენინგრადში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესწავლის მიზნით.

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტორგანიზაციების მუშაობის საყურადღებო გამოცდილების განზოგადებამ და დანერგვამ ხელი შეუწყო გარკვეულ წარმატებათა მიღწევას რესპუბლიკის პარტორგანიზაციათა საქმიანობაში. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დაყენებას.

მაგალითად, პარტიის თბილისისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტებმა, მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ, იმას მიაღწიეს, რომ საქალაქო კომიტეტების ინსტრუქტორები, როგორც წესი, თავიანთი სამუშაო დროის თითქმის ნახევარს უშუალოდ მათდამი მიმაგრებულ პირველადს პარტორგანიზაციებში ატარებენ, ამასთან ამის მიზანია არა მარტო ცნობების შეგროვება, არამედ საქმის ვითარების ღრმად შესწავლა, გაანალიზება, ადამიანების, კოლექტივის სამეურნეო ცხოვრების გაცნობა, პრაქტიკული დახმარება პარტორგანიზაციათა მდივნებისადმი შინაპარტიული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მოგვარებაში. კვირაში ერთხელ საქალაქო კომიტეტების განყოფილებებში და მათი აპარატების თათბირებზე ინსტრუქტორები აკეთებენ საინფორმაციო მოხსენებებს შესრულებული მუშაობის შესახებ.

შემოღებულია ისეთი წესი, რომლის დროსაც არა მარტო რაიკომების აპარატის მუშაკები, არამედ პლენუმის წევრებიც რეგულარულად ესწრებიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებს, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ განხილვის დროს წამოჭრილი ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში. უკანასკნელ ხანს პარტიულ კომიტეტებში შეიმჩნევა ტენდენცია შეამცირონ თათბირებისა და სხდომების რაოდენობა, განსახილველი საკითხების რიცხვი და გამოყონ მთავარი, საკვანძო საკითხები.

შესასწავლი საკითხების შერჩევაში ჩაბმულია ფართო აქტივი. ეს ხელს უწყობს ადგილებზე საქმის ფაქტიური ვითარების, მასების განწყობილების უკეთ გაცნობას, კომუნისტთა აზრის ყოველმხრივ გათვალისწინებას.

ბათუმის ცენტრალურ გადასატვირთავ ნავთობის ბაზაში, მაგალითად, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან, პარტიულ აქტივთან აზრთა გაუზიარებლად არ ინიშნება არც ერთი პარტიული კრება. ბაზის პარტკომი, მოსკოველებისა და ლენინგრადელების მაგალითისამებრ, პარტბიუროების სხდომებს მართავს უშუალოდ საწარმოს საამქროებში.

ბევრი პარტიული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ნახევარი წლის, მთელი წლის პერსპექტიული გეგმების, განყოფილებათა კვარტალური გეგმების, ინსტრუქტორთა მუშაობის ინდივიდუალური გეგმების შედგენამ. ეს საშუალებას აძლევს გულდასმით შეისწავლონ საკითხები, მოეთათბირონ აქტივს, სპეციალისტებს, მიიღონ უფრო კვალიფიციური გადაწყვეტილებები.

სულ უფრო მკვიდრდება პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში წინანდელისაგან რამდენადმე განსხვავებული სისტემა ანგარიშგებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა. მოსკოვისა და ლენინგრადის მაგალითისამებრ, რესპუბლიკის პარტიულ მუშაობაში დაინერგა ის პრაქტიკა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტები და რაიკომები ანგარიშს აბარებენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაწეული მუშაობის შესახებ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები კი რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროებს. აგრეთვე ცალკეული კომუნისტები, მათ შორის ხელმძღვანელებიც, ანგარიშს აბარებენ პარტიულ კრებებს.

საინტერესოდ ჩაიარა პარტიულმა კრებებმა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კერამიკულ კომბინატში, ცენტრალურ უნივერმაღში, ფინანსთა სამინისტროსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში. მოისმინეს კომუნისტთა ანგარიშები, თუ როგორ ასრულებენ წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. საუბარი მიმდინარეობდა არა მარტო საწარმოო საქმიანობაზე, არამედ იმაზე, თუ როგორია კომუნისტი შინ, ყოფა-ცხოვრებაში, პირად ცხოვრებაში.

დამყარდა გეგმის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაწევის გარკვეული წესი. კონტროლის საქმეში მონაწილეობს პარტიული აპარატის ყველა მუშაკი, დაწყებული ინსტრუქტორით, რომელიც პასუხისმგებელია მუშაობის თავის უბანზე გეგმის შესრულებისათვის. გეგმის შესრულების მსვლელობას ხშირად განიხილავენ ბიუროს სხდომებზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში შემოღებულია სპეციალური საკონტროლო ბარათები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაკთა პერსონალურ პასუხისმგებლობას თითოეული გადაწყვეტილების შესრულებისათვის. დადგენილია შესრულების შემოწმების დღეები — ორ კვირაში ერთხელ.

შეიცვალა პლენუმების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკაც. საინტერესოდ და სანიმუშოდ ჩაიარა თბილისის კიროვისა და პირველი მაისის რაიონების პარტიული კომიტეტების უკანასკნელმა პლენუმებმა. რაიკომების წევრებსა და კანდიდატებს წინასწარ გაუგზავნეს მოხსენებები და დადგენილების პროექტები, რამაც მათ საშუალება მისცა საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ პლენუმის სხდომებისათვის.

სულ უფრო ფართოდ ვრცელდება საზოგადოებრივი საწყისები პარტიულ მუშაობაში. ბათუმში მოსკოველთა მაგალითისამებრ პოლიტიკური განათლების სახლთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი. პარტიის საქალაქო კომიტეტთან მოქმედებს მოსახლეობაში მუშაობის შტატგარეშე განყოფილება.

მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებამ ხელი შეუწყო ბევრი საჭირო, სასარგებლო გამოცდილების შეძენას და მის გამოყენებას ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში. რა თქმა უნდა, ამ გამოცდილების დანერგვა მიმდინარეობდა არა მექანიკურად, არა ბრმა გადაღებით და მიბაძვის გზით, არამედ შემოქმედებითად, ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების ანალიზის გათვალისწინებით.

საჭიროა კვლავაც ეწყობოდეს პარტიული მუშაკების მოგზაურობა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიული მშენებლობისა და პარტიული მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილების გასაცნობად, აგრეთვე უფრო ღრმად და ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ პარტიული მუშაობის გამოცდილება რესპუბლიკაში.

• • •

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის კვლავაც უნდა ავამაღლოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ კომუნისტთა მასების აქტივობა, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული პარტიის წევრი ასრულებდეს თავის ავანგარდულ როლს.

პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ და გავამდიდროთ იგი ახალი ფორმებითა და მეთოდებით.

ეს არის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანა.



ნიკოლოზ ტიხონოვი

# საუკუნის კაცი

ირაკლი აბაშიძე

ნიკოლოზ ტიხონოვი ის იუბილარია, რომელზეც ერთსა და იმავე დროს შეგვიძლიათ თქვათ: ეს ახალგაზრდული ენერგიით და სიცოცხლით სავსე კაცი აბა სამოცდაათი წლისა როგორ იქნებაო, და პირიქით, — ეს ჩვენი იუბილარი სამოცდაათისა კი არა, შესაძლოა მთელი ასი წლისაც იყოსო.

დიახ, ნიკოლოზ ტიხონოვი მთელი საუკუნის კაცია და იქნებ მეტისაც;

აბა, ერთი წუთით გაიხსენეთ მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება, ერთი წუთით გადაავლეთ თვალი ამ უსასრულო გზას, დაწყებულს თუნდაც „პერეკოპიდან“... შემდეგ გაჰყევით მას ლადოგისაკენ, ფინეთისაკენ, იქიდან წადით და სდიეთ შუა აზიაში ახალი ადამიანების საძებრად, შუა აზიიდან გამოჰყევით კახეთისაკენ და შედექით გომბორზე, ნახეთ იგი „ჭალარა როგორც ძველი თქმულება და ვით სიმღერა — სულ ახალგაზრდა“. შემდეგ იხეტიალეთ მასთან ერთად ბასტილიასთან და ვერდენთან, იქიდან შემობრუნდით და ფეხით აედევნეთ მას, ძველ მთამსვლელს, „მაღალ კლდეებში, ტყეთა სამეფოვ, შენს ლურჯ ბაღებში, ჩემო სვანეთო“. იქ კი, სვანეთის მთებში, მასავით და ლერმონტოვივით გაიმეორეთ, „კავკასიის მთები ჩემთვის წმიდათა-წმიდაა“.

იალბუზი, გუნიბი, შხარა, შხელდა, დონღუზ - ორუნი, მამისონი, ათასი მწვერვალი, ათასი გადასასვლელი, ათასი ბილიკი კავკასიონის მთაგრეხილებში, გინდაც შუა აზიის მთებში — ტიხონოვისათვის ეგ არაფერია. ისინი არაერთხელ გადაულახავს მას. შემდეგ... შემდეგ მისი უსაყვარლესი და თითქმის მთელ სიგრძე-სიგანეზე ფეხით მოვლილი და გულით ნაალერსევი სამშობლო სამამულო ომის ცეცხლში... ტიხონოვი ლენინგრადის ბლოკადაში. „ცეცხლიანი წელი“.., „ჩვენს ციხის კედლებს ვერ გატეხს ვერსად,— მტერს გამხეცებულს მოვკვეთავთ ხელსა“, „საგუშაგოზე, ლენინგრადელო!“ და მერე ათასი უძილო ღამეებისა და დღეების შემდეგ მასთან ერთად იზეიმეთ მრისხანე მტერზე სამშობლოს გამარჯვება და ამ გამარჯვებას უძლეველი ცეცხლოვანი სტრიქონები. მერე ისევ აიკარით ბარგიბარხანა და ახლა დასავლეთისკენ გაჰყევით მას, ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში. უძღვენით მათ; ამ ქვეყნებს, მშვენიერი სტრიქონები, იქიდან გაფრინდით აზიასა და აფრიკაში, სწერეთ ამ შთამბეჭდავ მგზავრობებზე ლექსები, ნარკვევები, მოთხრობები... და ამ დაუსრულებელი ოდისეის შემდეგ დაჭექით და იანგარიშეთ — რამდენი წლის სიცოცხლე გეყოფათ ყოველივე ამისათვის.

დიახ, ნიკოლოზ ტიხონოვი შემოქმედებით მთელი საუკუნის კაცია, ხოლო ჭაბუკური, სიცოცხლით, სიყვარულითა და ახალგაზრდული გატაცებებით აქამდე ამოუწურავი შემოქმედებითი ენერგიით იგი სამოცდაათი წლისა არ არის, არა!

მე, ქართველ პოეტს, განსაკუთრებით სიტყვების, განსაკუთრებით საალერსო სიტყვების თქმა მსურს და მევალება კიდეც იმ დიდი სამსახურის გამო, რომელიც ამ შესანიშნავმა რუსმა ადამიანმა და პოეტმა გაუწია ჩვენს ქართულ კულტურას: გაუწია და უწევს ამ ოცდაათი წლის მანძილზე.

მე დღეს ჯერ კიდევ მისი ამ ბოლოდროინდელი გამოსვლების მხურვალე შთაბეჭდილებით ვარ. მისი გამოსვლებისა მოსკოვში, შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნისას და საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, მისი დაუვიწყარი სიტყვების ტყვეობაში, რომლებითაც იგი წარსდგა მოსკოვის მრავალათასიანი საზოგადოების წინაშე, რუსთაველისა და საქართველოს გამო.

და რამდენი ენერგია, თავისი კეთილშობილური გულის რამდენი სითბო ჩააქსოვა მან არა მარტო ამ სიტყვებში, არამედ ათასგვარ საქმიანობაში რუსთაველის იუბილეს მზადების დროს, როგორც რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ: ათასი საქმით დატვირთულმა კაცმა, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ და ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა დიდ კულტურულ წამოწყებათა მუდმივმა მონაწილემ.

ნამდვილად კოლოსალური ენერგიით დაუჯილდოებია ბუნებას ნიკოლოზ ტიხონოვი, ეს დიდებული რუსი პოეტი და მოქალაქე.

დამსახურებულად თვლიან ნიკოლოზ ტიხონოვს თავის მეგობრად საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერის სიტყვის ოსტატები. მაგრამ ჩვენ, ქართველები, პირველ ყოვლისა და განსაკუთრებულად! ტიხონოვი ქართველი ხალხის დიდი და ჭეშმარიტად ლვაწლმოსილი მეგობარია.

მე-19 საუკუნის რუსეთისა და საქართველოს გამოჩენილ მწერალთა მეგობრობის — პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის მეგობრობის აღდგენისა და განმტკიცების საქმე ჩვენს დროში დაკავშირებულია რამდენიმე გამოჩენილი რუსი მწერლის სახელთან და მათ შორის პირველ რიგში ნიკოლოზ ტიხონოვის სახელთან. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქართველი და რუსი მწერლების ეს მეგობრობა დაედო სამაგალითო საფუძვლად საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა მოძმე რესპუბლიკის მწერალთა დიდ მეგობრობას, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ არის ცნობილი. აქედან დაიწყო ამ რესპუბლიკათა ლიტერატურების გასვლა არა მარტო დიდ საბჭოთა სარბიელზე, არამედ რუსული ენის მეოხებით მთელ მსოფლიო ასპარეზზეც. ნიკოლოზ ტიხონოვს ამ საშვილიშვილო საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. ამიტომ არის, რომ დიდ საბჭოთა ქვეყანაში შემავალი ყველა ხალხის მწერლები ამ დიდებული რუსი პოეტის სახელს უდიდესი პატივისცემით იხსენიებენ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნის რუსი და ქართველი მწერლების მეგობრობა იყო უფრო პირადი, ადამიანური ურთიერთობა და ამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საქმიანი ლიტერატურული მეგობრობის ხასიათი, ისეთი, როგორიც ეს დღეს გვესმის. დიდი რუსი კლასიკოსები, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ქართულ მწერლობას და მის ისტორიას. [illegible] პუშკინი იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და, რომ „იმ საოცნებო ქვეყნის მგოსანი“ სწორედ რუსთაველია. მით უმეტეს ზედმეტია ლაპარაკი ქართული ენიდან რუსულზე რაიმე თარგმანის შესახებ; ხომ საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის ოცნება, ჯერ უკვე 80-იან წლებში, თუნდაც რამდენიმე ქართული ლექსის ნიმუშთა რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ.

პირდაპირ ვთქვათ: რუსი და ქართველი მწერლების ნამდვილი, საქმიანი ლიტერატურული მეგობრობა იწყება ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან. მანამდე ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის საქმეს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

სწორედ 30-იანი წლების დასაწყისში მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის წინ, მას შემდეგ, რაც მაქსიმ გორკის ინიციატივით ქართული მწერლობის ახლო გასაცნობად და ქართულიდან რუსულ ენაზე ზოგი თარგმანის შესასრულებლად საქართველოს ესტუმრა რუსი მწერლების ჯგუფი, ჩაეყარა საფუძველი ამ ორი ქვეყნის მწერალთა ნამდვილ, საქმიან ლიტერატურულ მეგობრობას, ქართულიდან რუსულ ენაზე სისტემატური თარგმნის დიდ საქმეს.



აქ კი პირველი და ძირითადი როლი სწორედ ნიკოლოზ ტიხონოვმა შეასრულა რუს პოეტებთან ბორის პასტერნაკთან და ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან ერთად.

ნიკოლოზ ტიხონოვი მაშინ შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკვე კარგად ცნობილი რუსი პოეტი. მას უკვე განვლილი ჰქონდა პოეტური ძიების ვრცელი და რთული გზა და თავისი ნამდვილი სიმწიფის წლებში იდგა. ამის კარგი დადასტურებაა მისი იმდროინდელი ციკლი „ლექსები კახეთზე“, ამ ლექსების დაუვიწყარი სტრიქონები:

„და ჩავიარე ალაზანთან,
იმ საოცნებო მდინარის პირას“.
ან
„გომბორის იქით მოხეტიალეს
უკან ჩამომრჩა მწუხრის თელავი“.

ან კიდევ ალავერდობაზე თქმული სიყვარულის სევდა იმაზე,

„ვინც არ სვამდა, ვინც არ მღერდა,
ვინც მე სულაც არ მიცქერდა“.

მახსოვს, ამ სტრიქონებს მაშინვე როგორი აღტაცებით ვიმეორებდით საქართველოში პოეტები და პოეზიის მოყვარული ადამიანები. სამწუხაროდ, იმათგან, იმ ქართველ პოეტთაგან და პოეზიის მოყვარულ იმ ადამიანთაგან, ბევრი დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

იმ წლებიდან მოყოლებული ნიკოლოზ ტიხონოვი მართლაც დაუღალავად და იმავე გატაცებით დასტრიალებს თავს საქართველოს მთებს თავისი ფიქრებით და პოეტური ალმაფრენით. იმავე გატაცებით ამღერებს ქართველ პოეტთა სტრიქონებს დიდი რუსი ხალხის ენაზე. ამიტომაც მადლიერმა საქართველომ იგი ჩვენი დიდი წინაპრის იუბილეს დღეებში ღირსეულად დააჯილდოვა რუსთაველის პრემიით.

სულით და გულით ვულოცავ ჩვენს დიდ მეგობარს, ჩვენს საყვარელ პოეტსა და ადამიანს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს.

სულით და გულით ვულოცავ ნიკოლოზ ტიხონოვს დაბადების სამოცდაათი წლისთავის საიუბილეო დღეს.

* * *

ეს ორი ფოტოსურათი გადაღებულია თბილისში 1966 წლის 25 ნოემბერს, იმ დღეს, როცა ნიკოლოზ ტიხონოვს რუსთაველის სახელობის პრემია გადაეცა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

---

ნიკოლოზ ტიხონოვი

## წინანდალი

ციკლიდან „ლექსები კახეთზე“

ვენახე-ალაზნის ბუნება,
მდინარე გულგასახარი,
ჭალარა — როგორც თქმულება,
როგორც სიმღერა — ახალი.

წინანდლის ზვრები დიდები
შემოდგომის მზით ბრწყინავენ.
მუქფრთებიანი ჩიტები
ჩვენს მაღლა ცაში ფრინავენ.

ღრმა ქვევრებს,
თვალჩაუწვდენელთ,
ავსებს მტევნების მდინარე.
ვაზის ოსტატებს სწადიათ,
რომ კაცი იყოს მცინარე.

და სჩქეფს ნაკადი ცხოველი,
წითელი, შავი ფერითა,
თან მიაქვს დარდი ყოველი
ნაცნობ მარნებში მღერითა.

რა გზები გადამილახავს!
ღამეა მყუდროდ დაცული,
დაცლილ ჭიქებში მინახავს
მე ერთი ტურფა ასული.

შვების ტყეში ვარ, ქუხილით
მხიბლავს კლდეების არილი,
მაგრამ სიხარულს — წუხილის
მე მოვაყარე მარილი.

რადგან ფოთლებმაც იციან
აქ მოლხენა და თარეში,
რადგანაც არ შემიძლია —
დავსახლდე მე ამ მხარეში.

რადგან მგზავრი ვარ, უცხო დღეს
და ზოლი მსუბუქ ჩრდილისა.
არ ვგავარ ამ კლდეს, არცა ტყეს,
არც ვარ ნიავი დილისა.

ვენახე ალაზნის ბუნება,
მდინარე გულგასახარი,
ჭალარა — როგორც თქმულება,
როგორც სიმღერა — ახალი.

1935 წ.

თარგმანი რ. გვეტაძისა.

---

დიდი გულითადი მეგობრობით არის დაკავშირებული ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოსთან, ქართველ მწერლებთან, უკვე თითქმის ოცდაათ წელიწადზე მეტია ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის უშუალო და აქტიური მონაწილეც არ ყოფილიყო ნიკოლოზ ტიხონოვი... ქართველ მწერალთა პირად არქივებში ინახება ნიკოლოზ ტიხონოვის ბევრი პირადი წერილი — რუს და ქართველ ლიტერატორთა ძმობა-მეგობრობის ნათელი დოკუმენტი.

ნიკოლოზ ტიხონოვის 60-მდე წერილის ადრესატია მისი ძველი მეგობარი, ჩვენი მხცოვანი პოეტი და დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი. წერილების ავტორის, აგრეთვე ადრესატის ნებართვით დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაცნობთ ორ მათგანს.

★ ★ ★

### მეგობრობის სტრიქონები

...შენ, პოეზიის მცოდნეს, კახეთზე დაწერილი ლექსები რომ მოგეწონა, იმას მოწმობს, რომ ჩემს გაბედულ ცდას ქართველი პოეტების მშვენიერი ლექსების შემდეგ ხოტბა შემესხა კახეთისათვის და მისი სახით საქართველოსათვის, მაინც წარმატება ხვდა...

ამ ლექსებს მიამიტად და გულწრფელად ვწერდი. ჯუგაანისა და სიღნაღის, თბილისისა და ალავერდის სურათებმა კვლავ და კვლავ გამიელვა წინ, როგორც ღრმა მოგონების თრთოლვამ...

ნ. ტიხონოვი.
1935 წ.

რა შორს არის ჩემგან მაჩაბლის ქუჩაზე... საამურ სახლში გატარებული შესანიშნავი თბილისური საღამოები, ჯუგაანი ხომ პირდაპირ ოქროს ზღაპრად მეჩვენება!

მას შემდეგ ათი წელიწადი გავიდა და მერე რა წლები! თქვენ ძალიან შორეულად იცით, რომ ლენინგრადის ბლოკადა დღემდე გრძელდება. როგორ ცხოვრობდნენ ამ ზამთარს იქ ადამიანები. თქვენ ამის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ, ალბათ თქვენამდეც როგორღაც აღწევენ ლენინგრადელები და ისინი დაწვრილებით გიამბობენ, თუ რა გადაიტანა ჩვენმა ხალხმა. ღმერთმა ნუ ქნას, ძვირფასო მეგობრებო, ამის თუნდაც მეათედი. წილი ნახოთ და განიცადოთ...

მოკლედ გეტყვით ჩემზე. ომის პირველივე დღეებიდან არმიაში ვმუშაობ. ვიყავი ფრონტზე, შემდეგ გადავიტანე ყველა დაბომბვა და არტილერიის დაშენა, რაც საკმაოდ მოგვეზღვა. მოსკოვში მივლინებით ჩამოვედი და მალე უკანვე დავბრუნდები. ამ ზამთარში დავკარგე დედა, ძმა, სიმამრი, ჩემი დის ქმარი... ერთი სიტყვით ჩვენს ორ ოჯახში ერთადერთი მამაკაცი დავრჩი... სიცივე და შიმშილი, სიბნელე და დანარჩენი გაჭირვება უფრო მეტ ადამიანს იწირავდა, ვიდრე ფრონტი. ქალაქი მნიშვნელოვნად დაზარალდა. ახლა მას ყოველდღე უშენენ არტილერიას და მეტად ძლიერ. მაგრამ უკვე ყველა მიეჩვია ამას და ვერარაფრით ვერ გავაკვირვებ ვერც სიდინჯით, ვერც სიმშვიდით.

ვწერ პროზასა და ლექსების წიგნს ლენინგრადზე. არ ვიცი, დამაცლის თუ არა ბედი მის დამთავრებას, მაგრამ ძალიან მინდა დავასრულო. ზოგიერთი მოთხრობა უკვე დავბეჭდე „პრავდაში“, იქნებ თქვენც დაგეჭირდათ ისინი?

ლენინგრადის თოვლში ხშირად გიგონებდით და სულით და გულით ვხარობდით, რომ ომის საშინელებანი თქვენგან შორს არის. ზოგჯერ მძაფრი სურვილი შეგვიპყრობდა გადმოვფრენილიყავით თბილისში, მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარში იყო ჩვენთვის მისაწვდომი.

ვნახოთ, ყველაფერი ხდება ქვეყნად. იქნებ როგორმე კიდევაც ვნახოთ ერთმანეთი. აბა მაშინ უყურე, ერთბაშად როგორ გავიხსენებთ ყველაფერს, კარგსაც და ცუდსაც, და გავიხარებთ შეხვედრით.

...მხურვალედ მოგესალმებით, გისურვებთ თქვენ და გოგონებს (ალბათ როგორ დამშვენდებოდნენ) ბედნიერებასა და წარმატებას, რაც დღეს მეტად მნიშვნელოვანია. იცხოვრეთ მშვიდად, მოიგონეთ ხოლმე შორეული ლენინგრადელი მეგობრები და გახსოვდეთ, რომ თქვენ, ჩემო ძვირფასებო, ახსოვხართ და უყვარხართ და ამის დარღვევა მტრის არავითარ იერიშსა და ბლოკადას არ ძალუძს.

ნ. ტიხონოვი.
1942 წ.

---

## საფრანგეთის ...მუნისტური პარტიის განცხადება

...იზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ...მა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა სა...თის კომუნისტური პარტიის გან..., რომელშიც „მხურვალედ მიე... საბჭოთა სოციალისტური რეს...ების კავშირის მინისტრთა საბ...ავმჯდომარის ამხანაგ ალექსი კო... ვიზიტს საფრანგეთში“.

...ებიან რა მშვიდობის დამცველი... საფრანგეთის მეგობარი დიადი ...ლისტური ქვეყნის წარმომადგე... ნათქვამია განცხადებაში, ფრანგე... მოთქვამენ მეგობრულ გრძნობებს ...თა ხალხისა და მთავრობისადმი“.

... ახსოვთ ჰიტლერიზმის უღლისა... ...ფლოის განთავისუფლებისათვის ...ლი უდიდესი მსხვერპლი. დასავ... გერმანიაში ჰიტლერული სულისკ... ...ის აღორძინების საფრთხის გამო ... ხალხი და საბჭოთა ხალხი უნდა ...მდნენ და ერთად იმოქმედონ ...ობის განმტკიცებისათვის.

...ნგთა მნიშვნელოვანი უმრავლესო... ...ნებს მხარდაჭერას, რომელსაც სა... კავშირი უწევს ვიეტნამელ ხალხს ...მოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძო...

...ხალმებით საფრანგეთისა და სსრ... ...ის ეკონომიური, პოლიტიკური და ...რული ურთიერთობის განვითა... და ვისურვებთ, რომ მომავალ მო...ებას მოჰყოლოდეს ახალი წარ... ჩვენი ორი ქვეყნის ყოველმხ... ...თანამშრომლობაში საფრანგეთის ...დღეობისა და მთელი მსოფლიოს ...ბის ინტერესებისათვის“.

## ...ტელევიზიო ...რეპორტაჟი

...რანგეთში ა. ნ. კოსიგინის ჩასვლის შესახებ

...კავშირის ცენტრალურმა ტელე... 1 დეკემბერს რეპორტაჟი მოაწ... ...ზის ორლის აეროდრომიდან. მი... ...ბით ტელემაყურებელი მოწმე ...ლითადი შეხვედრისა, რომელიც ...თის მიწა-წყალზე გაუწიეს სსრ ... მინისტრთა საბჭოს თავმჯდო... ა. ნ. კოსიგინს.

...ცა აგრეთვე საფრანგეთის პრე... ...ის შარლ დე გოლისა და საბჭო... ...რობის მეთაურის სიტყვები.

...რტაჟი წარმოებდა საბჭოთა კავ... ...ულობის თანამგზავრის „მოლ... ...ს საშუალებით.

...ოკავშირის კოსმოსურმა ხიდმა ...თა ხელოვნურმა თანამგზავრმა ...-1“ კიდევ ერთი გამოცდა ჩაა... ...ნუცხადეს საკდესის კორესპონ... თანამგზავრის ფრენის მართვის ... დილაადრიან საფრანგეთის ... ბოდუს რადიოსადგურის კავში... ...ლობის მუშაკებმა მოსკოველ კო... ...აცნობეს, რომ მზად არიან ორ... ...ოდრომიდან გადაცემებისათვის. ...ად 12 საათსა და 50 წუთზე დე... ...ან გაცემული კომანდით თანამ... „მოლნია-1“ მიიღო გადაცემა ...თიდან და აწარმოებდა მას ... წუთის განმავლობაში. სპეცია... ... აღნიშნავენ, რომ გამოსახულე... ...ჯერა ჩინებული ხარისხისა იყო. ...როს თანამგზავრი „მოლნია-1“ ...ეს პარიზიდან ვლადივოსტოკში ...მდა. (საკდესი).

---

## ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესიაზე

დელი, 30 ნოემბერი. (საკდესი). 29 ნოემბერს აქ დამთავრდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს ხუთი დღის სესია. საბოლოო სხდომაზე სესიამ მოიწონა წინასაარჩევნო მანიფესტი, რომლითაც გამოვა პარტია 1967 წლის თებერვლის პარლამენტის საყოველთაო არჩევნებში, აგრეთვე მიიღო რამდენიმე რეზოლუცია.

რეზოლუციაში „ჩინეთის უკანასკნელი ამბების გამო“, რომლებიც დაკავშირებულია ეგრეთწოდებულ „დიდ პროლეტარულ კულტურულ რევოლუციასთან“, ნათქვამია: „ჩინეთის ამბები ცხადყოფენ, თუ როგორ შორდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა მარქსიზმ-ლენინიზმს. იგი სულ უფრო მეტად უპირისპირებს მაო ძე-დუნის იდეებს მარქსიზმ-ლენინიზმს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამ ამბების ყველაზე საშიში ასპექტია სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ცილისწამებისა და პროვოკაციული მოქმედების მტრული კამპანიის უპრეცედენტო ესკალაცია“.

„ჩინეთის კულტურულ რევოლუციასთან დაკავშირებული მოვლენები, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — მხოლოდ ამ ქვეყნის საშინაო საქმე როდია. ეს მოვლენები სერიოზულად აღელვებს მთელი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რადგანაც ლახვარს სცემენ ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ძალების მსოფლიო ფრონტს. ამ ლახვარს სცემენ სწორედ მაშინ, როცა ამერიკელი იმპერიალისტები აწარმოებენ ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიული ომის ესკალაციას, როცა ისინი სულ უფრო მეტად ეხმარებიან დასავლეთ გერმანიის რევანშისტებსა და ნეოფაშისტებს, ახალ შეთქმულებებს ამზადებენ აზიისა და აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ“.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულ საბჭოს მიაჩნია, რომ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა განამტკიცონ თავიანთი ერთობა და სოლიდარობა, შეაკავშირონ მთელი ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ძალები.

რეზოლუციებში ინდოეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო „გადაჭრით გმობს ძალადობას, რომელსაც ხალხის გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიმართავენ“. ეროვნული საბჭო მოუწოდებს ინდოეთის მთელ დემოკრატიულ ძალებსა და ინდოელი ხალხის ყველა ფენას „კიდევ უფრო მტკიცედ შეკავშირდნენ სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნების განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო, ნათქვამია რეზოლუციის დასასრულს, მოითხოვს, რომ გაუქმდეს ინდოეთის დაცვის კანონი და მოიხსნას წინადადებანი პრევენტიული პატიმრობის კანონის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პირი, რომლებიც ხალხის მასობრივ გამოსვლებთან დაკავშირებით დააპატიმრეს.

## ყრილობა დამთავრდა

ანკარა. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა თურქეთის მმართველი პარტიის — სამართლიანობის პარტიის მესამე ყრილობამ. ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს პარტიის გენერალური თავმჯდომარის სულეიმან დემირელის მოხსენება. დემირელმა ილაპარაკა პარტიის საქმიანობაზე ორი წლის განმავლობაში პარტიის უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, აგრეთვე თურქეთის საშინაოპოლიტიკურ მდგომარეობასა და საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე.

შემდეგ ყრილობაზე აირჩიეს პარტიის გენერალური თავმჯდომარე და პარტიის გენერალური ხელმძღვანელი საბჭოს წევრობის კანდიდატები.

სამართლიანობის პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ კვლავ ს. დემირელია არჩეული.

## გმობენ ამერიკელთა შანტაჟს

დელი. (საკდესი). გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გადაწყვიტა უარი უთხრას ინდოეთს სურსათის მიწოდებაზე ვიეტნამის საკითხში მისი პოზიციის გამო ჯონსონის ამ გადაწყვეტილებამ ინდოელი ხალხის გულისწყრომა გამოიწვია.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ღია წერილით მიმართავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციასა და მოძრაობას, და მოუწოდებს „მხარი დაუჭირონ ინდოეთს ამერიკის ბარბაროსული შანტაჟის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სარგებლობს იმით, რომ ინდოეთში მილიონობით ადამიანი შიმშილობს, — ხაზგასმით აღნიშნა რომეშ ჩანდრამ, — და ცდილობს ძალადური ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს ქვეყანაზე რათა შეაცვლევინოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა ამერიკის იმპერიალიზმის სასარგებლოდ“.

## სხვადასხვა მერიდიანზე

◆ რომი, 30 ნოემბერი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება ხალხის მასებში ცხადყო ამასწინანდელმა ნაწილობრივმა მუნიციპალურმა არჩევნებმა ორ პროვინციასა და 309 კომუნაში. ტრიესტისა და მასა ე კარარის პროვინციული საბჭოების არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 74.204 ხმა ანუ ყველა ამომრჩევლის ხმის 23,1 პროცენტი. სამ პროვინციულ ცენტრში — ტრიესტში, მასასა და რავენაში — იტალიის კომპარტიას მისცა ხმა 79.204 კაცმა, რაც 1645 ხმით მეტია, ვიდრე წინა არჩევნებში.

△ პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა იუნესკოს გენერალური კონფერენციის XIV სესიამ, რომელიც აქ მიმდინარეობდა 25-30 ნოემბერს. სესიამ მიიღო ორგანიზაციის პროგრამა და დაამტკიცა მისი ბიუჯეტი მომავალი 1967-1968 წლებისათვის.

◆ პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გვატემალის მთავრობამ გადაწყვიტა კიდევ 30 დღით გააგრძელოს სამხედრო წესები, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. სამხედრო წესები გვატემალაში შემოიღეს ამა წლის 2 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც მთელს ქვეყანაში გაძლიერდა პარტიზანული მოძრაობა.

◆ ლონდონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). 29 ნოემბერს პორტუგალიელი ჯარისკაცები მოზამბიკიდან შეიჭრნენ ტანზანიის ტერიტორიაზე და იქ რამდენიმე ნაღმი ჩადეს. აფეთქების შედეგად დაიღუპა ოთხი ტანზანიელი და ხუთი მძიმედ დაიჭრა.

◆ ვაშინგტონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ვიეტნამის ომი პენტაგონს უსახავს საზარბაზნე ხორცის მუდმივი ნაკადის უზრუნველყოფის პრობლემას.

ამიტომ თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ კვლავ მცირდება მოთხოვნები წვევამდელთა გონებრივი განვითარების მიმართ. 1 დეკემბრიდან შესამოწმებლად გამოიძახებენ იმათ, ვინც წინათ გონებრივი ჩამორჩენილობის გამო დაწუნებული იყო. უწყებებს მიიღებს 2 მილიონ 400 ათასი ახალგაზრდა ამერიკელი.

◆ სტამბოლი, 30 ნოემბერი. (საკდესი). სტამბოლის ნავსადგურში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტის ხომალდების ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაშია ავიამზიდი „შანგრილა“, საესკადრო ნაღმოსნები „ლოურენსი“ და „ოუენი“. ამერიკის ხომალდები სტამბოლში 7 დეკემბრამდე დარჩებიან.

◆ ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტის მრჩეველმა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საიგონში გენერალმა ტეილორმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გაგრძელდეს ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა და ამერიკის აგრესია ვიეტნამში. ტეილორმა ლექცია წაიკითხა „ბეგნის სკოტის“ კოლეჯში და განაცხადა, მრავალი წელი გავა, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამიდან „წავლენო“.

◆ ლონდონი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ესპანეთის მთავრობამ დღეს კვლავ პროტესტი განუცხადა ინგლისს იმის გამო, რომ ინგლისის სამხედრო თვითმფრინავები დაფრინავენ გიბრალტარის რაიონში. ვერბალურ ნოტაში, რომელიც ინგლისის საელჩოს გადაეცა მადრიდში, აღნიშნულია, რომ ესპანეთი იძულებული იქნება განახორციელოს კონტრღონისძიებანი, თუ გაგრძელდება ესპანეთის საჰაერო სივრცის დარღვევა.

## საწვრთნელი განგაში ამერიკის 48 შტატში

ვაშინგტონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). სამხედრო-სამოქალაქო თავდაცვის სისტემის შემოწმების მიზნით გუშინ ამერიკის 48 შტატში გამოაცხადეს ორი დღის საწვრთნელი განგაში, რაც ატომური თავდასხმის იმიტაციაა.

ამ შტატების ხელისუფლებს შეატყობინეს ჰიპოთეზური ატომური თავდასხმის მონაცემები, ატომური ბომბის აფეთქების ზუსტი ადგილი და სიმძლავრე, აგრეთვე ატმოსფეროს რადიოაქტიური მოწამვლის პროცენტი. ამასთან გამოირკვევა შტატების სამოქალაქო თავდაცვის სისტემის უნარი არსებული საშუალებებით უზრუნველყოს მოსახლეობის უშიშროება.

გარდა ამისა შეამოწმებენ მეთოდებს, თუ როგორ შეკრიბონ ატომური თავდასხმის შედეგების მონაცემები, და გააცნონ ისინი ადგილობრივ, შტატებსა და ფედერალურ ხელისუფლებს.

ამ ღონისძიებაში არ მონაწილეობენ მხოლოდ იუტისა და ნებრასკის შტატები.

## საშიში ნაბიჯი

ბერლინი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის რიგმა საწარმოებმა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს შეკვეთები იმისათვის, რომ მომწამვლელი ნივთიერებანი დაამზადონ, რომლებსაც ამერიკელი იმპერიალისტები გამოიყენებენ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იღნის სააგენტოსა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის საინფორმაციო სააგენტო „განთავისუფლების“ კორესპონდენტებს განუცხადა:

ეს ფაქტი კვლავ მოწმობს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები იყენებენ ომის წარმოების ყველაზე ბარბაროსულ საშუალებებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები დიდი რაოდენობით აწვდიან მომწამვლელ ნივთიერებებს ამერიკის ჯარებს, რაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევაა.

◆

## რუქაზეა ახალი სახელმწიფო




30 ნოემბერს ვესტ-ინდოეთის კუნძული ბარბადოსი ოფიციალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ბარბადოსი ვესტ-ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კუნძულია, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე აღემატება 500 კაცს 1 კვადრატულ კილომეტრზე. კუნძულის ფართობია 432 კვადრატული კილომეტრი, სადაც ცხოვრობს 240 ათასი კაცი. ბარბადოსის მცხოვრებთა უმრავლესობას ზანგები და მულატები შეადგენენ. ბარბადოსის დედაქალაქი და ყველაზე დიდი ნავსადგურია ბრიჯტაუნი.

ჰავა ტროპიკულია, ერთმანეთს ენაცვლება მშრალი, გრილი (დეკემბერი-მაისი) და ნესტიანი, ცხელი სეზონები. ნიადაგი ნაყოფიერია, მცენარეულობა მდიდარი.

ბარბადოსის ეკონომიკას საფუძვლად უდევს შაქრის ლერწმისა და ბამბის თესვა-მოყვანა. განვითარებულია მეთევზეობა. მრეწველობა უმთავრესად აწარმოებს შაქარსა და რომს. შემოსავლის მეორე წყაროა ტურიზმი.

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კანცლერი

ბონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბუნდესტაგმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერად აირჩია კურტ კიზინგერი. მისი კანდიდატურა დაასახელა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიამ.

ბონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კიზინგერმა მიიღო ხმების უმრავლესობა — 340, წინააღმდეგ ხმა მისცა 109 დეპუტატმა, 23 დეპუტატმა თავი შეიკავა.

◆

## გადადგა ერჰარდის მთავრობა

ბონი, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, დღეს დილით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბკე დათანხმდა ერჰარდის მთავრობის გადადგომაზე.

ერჰარდის მთავრობის ეს გადადგომა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციური მთავრობის დაშლის შედეგია.

# საზღვარგარეთის ცნობები



პარიზი. ქალაქის ცენტრალური ქუჩა — ელისეს მინდვრები.
ფოტო ვ. გენდე-როტეს (საკდეს ფოტოქრონიკა).

# უსმენდა პარიზი

ამას წინათ საფრანგეთში ელისეს მინდვრების თეატრის პლეიელის დარბაზში სხვა საბჭოთა მუსიკოსებთან ერთად კონცერტებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **მედეა ამირანაშვილი.** მომღერალს პროგრამაში ჰქონდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე არიები რუს და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან.

პირველ კონცერტში, რომელშიც მღეროდა მ. ამირანაშვილი, მონაწილეობდა საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი. შესრულებულ იქნა „რუსლან და ლუდმილას“ უვერტიურა, მუსორგსკის „ღამე ტიალ მთაზე“ და რახმანინოვის — მეორე კონცერტი. დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნიაზი. რახმანინოვის კონცერტს ასრულებდა მოსკოველი პიანისტი, ჟაკ ტიბოსა და მარგარიტა ლონგის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ვ. ერესკო. რთული იყო მ. ამირანაშვილის რეპერტუარი — ტატიანას წერილის სცენა „ევგენი ონეგინიდან“, მარფას არია „მეფის საცოლედან“, მაროს („დაისი“), მზიას („მინდია“), ლიუს („ტურანდოტი“) და „ელვირას („ერნანი“) არიები.

საერთოდ მდიდარი საოპერო რეპერტუარის მქონე მომღერალი თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს კამერულ ჟანრსაც. ამის დამადასტურებელია მედეა ამირანაშვილის სოლო კონცერტები, რომლებიც მოისმინეს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ ქალაქში. დიდი წარმატება ხვდა მის გამოსვლებს ახალ ზელანდიაში და ავსტრალიაში.

მ. ამირანაშვილი გლინკას სახელობის ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატია.

— მეტად მაღელვებდა, — ამბობს მ. ამირანაშვილი, — გამოსვლა პარიზში დიდი მუსიკალური კულტურის ქალაქში. პლეიელის უზარმაზარ დარბაზში, რომელიც სამი ათასამდე მაყურებელს იტევს, მსოფლიოს საუკეთესო შემსრულებლებს უმღერიათ, შესანიშნავი მომღერლებით განებივრებული საზოგადოების წინაშე გამოსვლა ძნელია. ყველაზე დიდი წარმატება ქართულ რეპერტუარს ხვდა. კონცერტის შემდეგ მილოცავდნენ ეროვნული რეპერტუარის წარმატებით შესრულებას, თან სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ არ იცნობდნენ შესანიშნავ ოპერებს „დაისსა“ და „მინდიას“.



— ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მე წარვდგინეთ პარიზის საზოგადოების წინაშე, — მითხრა კონცერტის შემდეგ ცნობილმა იმპრესარიომ ჟან ფონტენმა. პარიზის მუსიკალური ჟურნალის და რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორმა გოუმანმა ჩემი გამოსვლა ფირზე აღბეჭდა.

მეტად ლამაზია პლეიელის დარბაზი, შესანიშნავი აკუსტიკა აქვს. მაღალპროფესიულად უკრავდა ორკესტრი. ბრწყინვალე იყო დირიჟორი ნიაზი.

დასანანია, რომ დროის უქონლობისა და რეჟიმის გამო მხოლოდ სასტუმროსა და მანქანის ფანჯრებიდან ვნახე პარიზის ღვთისმშობლის შესანიშნავი ტაძარი, სახლი, რომელშიც ცხოვრობდა ნაპოლეონი, პარიზის საოცრება — ეიფელის კოშკი, ტრიუმფალური თაღი და სხვ.

ფრანგულმა პრესამ აღნიშნა ქართველი მომღერლის დახვეწილი პროფესიონალიზმი, კარგი გემოვნება, მუსიკალური სტილის მაღალი შეგრძნება, ფაქიზი ფრაზირებისა და ნიუანსირების უნარი.

**ნ. სვანიძშვილი.**

## ამბები — ცნობები

### კიევში ფესტივალზე

პირველად ეწყობა ქ. კიევში ტელეფილმების საკავშირო ფესტივალი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 64 ტელესტუდია იღებს მონაწილეობას.

საქართველოს ტელევიზიამ ფესტივალზე სამი ფილმი წარადგინა. ესენია „მე თვითონ“, რეჟისორ მ. კობახიძის ცნობილი „ქორწილი“ და „ფანჯარა“ (ავტორები დ. ბატიაშვილი და ა. ულენტი).

### დებიუტი ბელგიიდან

ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილმა საბჭოთა დირიჟორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კონსტანტინე ივანოვმა ბელ-...

ბრიუსელში შეასრულეს ქართველი კომპოზიტორის სიმფონია

...ნოვის დირიჟორობით. ბელგიელმა კოლეგებმა პროგრამა მოიწონეს და დაამტკიცეს, საბჭოთა დირიჟორი ბრიუსელში მიიწვიეს და მისი დირი-...

## დ. მ. ლილუაშვილი



ხანგრძლივმა, მძიმე ავადმყოფობამ ... რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორი დავით მიხეილის-ძე ლილუაშვილი.

მან შრომისა და ცხოვრების ნათელი გზა განვლო. დაიბადა 1912 წელს ქ. ზესტაფონში. აქვე დაამთავრა მეორე შრომითი სასწავლებელი და სამრეწველო ეკონომიური ტექნიკუმი, რის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დ. ლილუაშვილი თავის მშობლიურ ქალაქში უბრუნდება და მუშაობას იწყებს რაიონული გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ იგი გადაჰყავთ ქ. ჭიათურაში ჯერ საქალაქო გაზეთის „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგის თანამდებობაზე, სადაც წლების მანძილზე მუშაობდა.

1945-48 წლებში დ. ლილუაშვილი მუშაობდა საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

1948 წლის ბოლოდან იგი კვლავ ზესტაფონშია. სხვადასხვა დროს მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილების, პარტიის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგედ, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტად.

დავით ლილუაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველაზე მეტად მაინც საგაზეთო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

თავმდაბალ, გულისხმიერ მეგობარსა და ჟურნალისტს დავით ლილუაშვილს კარგად აფასებდნენ რაიონის მშრომელები.

ყოველთვის გულთბილად და სინანულით მოიგონებენ დავით მიხეილის-ძე ლილუაშვილს ზესტაფონელი, ჭიათურელი, ახმეტელი მშრომელები და მისი თანამოკალმე ჟურნალისტი მეგობრები.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## „ცისკრის“ კონკურსი გრძელდება

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია აცნობებს მკითხველებს, რომ გრძელდება ჟურნალის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსი საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველ საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებზე. ...

## ნარინჯი კუ საექსპორტოდ

ალმა-ატა. ათი ათასი გირვანქა სტერლინგი — ასეთია კუს გაყიდვით მიღებული ამონაგები, რომელიც საექსპორტოდ დაამზადა ყა-...

## თეატრალური ქრონიკა

**ნაყოფიერად** მუშაობს თბილისის რკინიგზელთა სახლის სახალხო თეატრის კოლექტივი. ამ დღეებში აქ მაყურებლებმა ნახეს შ. კაპანაძის და ბ. მირცხულავას ორნაწილიანი პიესა „შოთა რუსთაველი“.

სპექტაკლი დადგა სახალხო თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. ქართველიშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას, მუსიკალური გაფორ-...

...ობები ნ. მეძმარიაშვილი, ნ. ბ..., ..ლი, ა. თათოშვილი, შ. ლომთა..შვილი.

**ცაგერი. (საკ. კორ.).** კულტ... სახალხო თეატრის კოლექტივმ... ერად წარმოადგინა ნ. არეშ...

## დღესასწაული საკანდით

## ყველაზე პატარა წიგნი

## ბერლინის ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზია საზღვარგარეთ მოგზაურობს

## დეკემბერი ზამთრის თვეა

## საბჭოთა ცანოვრებმოების გამარჯვება

## ლიდერებმა წაიბორძიკეს

## ეროვის უსხურთის მოედანზე

## ათი ტურის შემდეგ

## უკანასკნელი აკორდი

## სპორტული ქრონიკა

## ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

## გაუმსოთ, გაუმოუსმინოთ

### ტელევიზია

### თეატრები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი

რედაქტორი
დ. მეძღვრიშვილი

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443